პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—დეკემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ერთი ჩიხისთვის და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთისთვის ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის გივი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, დისევის ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას, ერთ ჩიხს და ლუბლიანას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ბავშვთა ქირურგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის გივი ჟვანიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


0.3 ᲰᲐ

04-03222173-03

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

MES 6 22 0000877438

05/08/2022

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ჩვენი დედაქალაქი - თბილისი დღითიდღე ვითარდება და ლამაზდება. თბილისში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს წარსული და აწმყო, გუშინდელი და დღევანდელი; ასე იყო, არის და იქნება. ჩვენ, თბილისის მოქალაქეები თქვენი, ქალაქის მესვეურების თაოსნობით ვქმნით თბილისის ისტორიას და მის მომავალს.

თქვენს კომპეტენციათა რიგს, მრავალ სხვა სერიოზულ ამოცანასთან ერთად, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის სახელდება განეკუთვნება. ამ მხრივ მერია და საკრებულო დიდი საზოგადოებრივი, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სამუშაოს ასრულებს.

სწორედ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით და საუკუნოვან ასაკს მიახლოებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მრავალათასიანი არმიის, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, საქართველოს პედიტრთა და ბავშვთა ქირურგთა საზოგადოებების წარმომადგენელთა მოსაზრების გათვალისწინებით, ნება მომეცით, მოგახსენოთ შემდეგი:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გივი ჟვანია** - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგე, პედიატრიის ფაკულტეტის დეკანი - უპირობოდ მიეკუთვნება უნივერსიტეტის, მისი პედიატრიის ფაკულტეტის ავტორიტეტის შემქმნელ ადამიანთა კოჰორტას.

ბატონი გივი ჯერ კიდევ ფაქტობრივად ყმაწვილი (23 წლისა) გახდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი აკადემიური ოჯახის წევრი, აქ ჩამოყალიბდა, როგორც ექიმი, პედაგოგი, სამედიცინო საქმის ორგანიზატორი. იგი, მართლაც რომ, ზღაპრის დიდი და კეთილი გმირივით შევიდა ბავშვთა ქირურგიის სამყაროში და თითქმის ნახევარი საუკუნე, სიცოცხლის ბოლომდე ამ სფეროში იყო დასაყრდენი, ავტორიტეტული და სანდო.

თითქმის ხუთი ათეული წელი ბავშვთა ქირურგიის სამსახურში, სტუდენტების, ასპირანტების, რეზიდენტების, ახალგაზრდა ექიმების გვერდით, 18 წელი პედიატრიის ფაკულტეტის დეკანად – ასეთ დატვირთვასთან გამკლავება არ არის იოლი, მაგრამ როცა პროფესია და ადამიანები გიყვარს, ყველაფერს შეძლებ. და ამის ნათელი მაგალითი გივი ჟვანიას ცხოვრება და საქმიანობაა.

ბატონი გივი ჟვანიას პროფესიული მემკვიდრეობა არის ბავშვთა ქირურგიის ეროვნული სკოლა,150-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია, მონოგაფიები, მეთოდური რეკომენდაციები, ორი რაციონალიზატორული წინადადება, მაგრამ მთავარზე მთავარი არის მისი სახელი, რომელსაც ღირსეულად ატარებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი კლინიკური ბაზა - თსსუ-ის გივი ჟვანის სახელობის პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა.

განუზომელია ბატონი გივი ჟვანიას დამსახურება ქართული სამედიცინო სამეცნიერო და აკადემიური აზრის განვითარებაში და პოპულარიზებაში; ფასდაუდებელია ბატონი გივის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის, რისთვისაც ქართველ მედიკოსთა, განსაკუთრებით – ბავშვთა ქირურგების, კმაყოფილი პატარა პაციენტების და მათი მშობლების, მოსწავლეების, კოლეგების ურიცხვი არმიის წარმომადგენლები დღესაც, მისი გარდაცვალებიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, არ იშურებენ მადლიერ სიტყვებს.

ბატონო გიორგი,

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და განიხილოთ საკითხი ქალაქ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის პროფესორ გივი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ.

წინასწარ მოგახსენებთ მადლობას.

პატივისცემით,

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი

19/03222762-03.

ქალაქ თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მე-20 საუკუნეში მოღვაწეობდა გამორჩეული მოქალაქე და ექიმი, პროფესორი გივი ჟვანია (1927-1934). გივი ჟვანიას სახელთან მრავალი მნიშვნელოვანი საქმეა დაკავშირებული. დღემდე მის სახელს ატარებს თსსუ-ის პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა.

ჩვენს წერილში არ ვისაუბრებთ მის ადამიანურ თვისებებზე, პრაქტიკულ თუ სამეცნიერო საქმიანობაზე, ვინაიდან ამ ყველაფერზე, თბილისის საკრებულოს თვმჯდომარის სახელზე გაგზავნილ წერილში, სამედიცინო საზოგადოების სახელით საუბრობს თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია (MES 6 22 0000877438, 05.08.2022).

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად) გივი ჟვანიას სახელის მინიჭების საკითხი.

ასლი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ლევან ჟვანია

(მცხოვრები თბილისი, გივიშვილის N1,

პ/ნ 62004022200, ტელ;
577178036)

8.09.2022.

გივი ჟვანია

(1927-1994)

ბავშვთა ქირურგი, მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

1949 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

1967-1973 წლებში იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის დოცენტი. 1973-1992 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის დეკანი. 1988-1994 წლებში ამავე ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის გამგე. იყო თბილისის მთავარი ბავშვთა ქირურგი.

გივი ჟვანია ავტორია მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა: 5 მონოგრაფია, 6 მეთოდური რეკომენდაცია, 2 რაციონალიზატორული წინადადება.